# ბახტრიონი

ფასი 10.000 მ.

სტამბის მისამართი: სამხედრო სტამბა, ლორის—მელიქოვის ქ. № 3. ტელეფ. 8—61 განცხადების ფასი: სტრიქ. 20.000. ხელის მოწერა სამი თვით: 200.000 მ.

კვირეული სალიტერატურო და ინფორმაციის გაზეთი

№ 5 ორშაბათი 31 ივლისი. № 5

## მთლიანი მუშათა კოოპერატივი (ერკოპი)

მთლიანი მუშათა კოოპერატივის დუქნებში და მაღაზიებში მიღებულია ახალი პარტია მანუფაქტურის

ტილო, პარუსინა, სატინი, შევიოტი,-ტრიკო, მელესკინ, მადაპოლამი, ცხვირსახოცები.

### ძალიან იაფად

**იყიდება:** მდინარის ყინული 60.000 მ. ფუთი.

ყიდვა სწარმოებს დილის 8—3 ს. ერკოპის მაღაზიებიდან

1) პიროგოვის ქ № 1.
2) პუშკინის ქ. № 5, თევზეულის მაღაზია ყოფ. მეგველოვისა.

**ნახშირის საწყობი:** ჩერქეზიშვილის ქ. № 77.
იყიდება ხის ნახშირი—30.000 მ. ფუთი.

**სარძევე-გასტრონომიულ მაღაზიებში**

1. პუშკინის ქ. 5,
2. ვერის და ოლღას ქ. კუთხე,
3. პიროგოვის ქ. № 1.
4. მიხეილის ქ № 93.

ყოველდღე გვაქვს: **რძე**——ჭიქა—4.000 მ.

მარიენფელდის ქარხნის საკუთარი ნაწარმოებნი: **პარაყი, ყველი, სმეტანი, ნაღები, ხაჭო, ერბო, მაწონი.**

**თევზეულობის მაღაზიაში** პუშკინის ქ. № 5, მაღაზია ყოფ. მეგველოვისა.

მიღებულია წითელი თევზი ყველა ხარისხისა--ფასები ბაზარზე ნაკლები

### ყველა მაღაზიებში—ყოველდღე

თეთრი პური გირვანქა 8.000 მან.

## საქართველოს ს.ს.რ. მთლიანი სამხედრო კოოპერატივი.

მართველობა: ტფილისი ელბაქიძის (ვერის) დაღმართი № 12 ტელ. № 17—82.

საქონელს იძენს ფულით და საქონელზე გადაცვლით

**1. გახსნილია მაღაზიები:**

1) **უნივერსალური მაღაზია** რუსთაველის ქ. № 40 ტელ. № 2—12, სადაც მოთავსებულია: სამანუფაქტურო, ჭურჭლეულობის (მინანქარის), საგალანტერეო, სურსათ-სანოვაგისა და სასმელების განყოფილებები.

2) **მაღაზია კახეთის მოედანზე № 1** სადაც მოთავსებულია: რკინეულობის და ტეხნიკური მასალების განყოფილებები.

3) **ღვინის სარდაფი** სერგიევის ქ. № 4 და 4) **საწყობი** საპიორის ქ. № 18.

**2. კოოპერატივის დუქნები:**

1) სამოსწავლო ათასეულში, 2) 1-ლ ლეგიონში, 3) დივიზიის ლაზარეთში, 4) საარტილერიო დივიზიონში და 5) საინჟინერო დისტანციაში.

**3. ქალ. ქუთაისში—ცენტრალური კოოპერატივის განყ-ბა:**

**4. ქალ. ტფილისში:**

1) **ხე-ტყის ქარხანა** ღებულობს შეკვეთებს, 2) **ფურნე** და 3) **საავტომობილო გარაჟი.** გარაჟი იღებს ტვირთის გადასაზიდათ შეკვეთებს. ყველა ეს მოთავსებულია დიდი მთავრის ქუჩაზე № 2 ტელ. № 16—60.

4) **ბაღი** საინჟინერო ქ. № 8 სადაც იყიდება კულტურული მცენარეები, თესლეულობა და მწვანილეულობა.

5) **მამული „ბოგას-კიასან"** ბორჩალოს მაზრაში, 1600 დესეტინა სარძეო მეურნეობით, ყველის ქარხნით, ლორის ჯოგით და სათიბით.

გაიხსნა ტფილისში—(ბერძნ. პასაჟში) და ახლო მომავალში გაიხსნება **საექსპედიციო—სატრანსპორტო—სავაჭრო—საკომისიო კონტორები ქ.ქ. ბათუმში, ბაქოში და სხვ.**

## სახალხო ბანკის გამგეობა

იუწყება, რომ საქონლის იმპორტ—ექსპორტების მუშაობის გასაადვილებლად

**გახსნილია ანგარიში ოტტომანის ბანკში კონსტანტინოპოლში** და მიიღებს თავისთავზე

გადაგზავნას და სხვა საკომისიო მინდობილობებს კონსტანტინოპოლზე

გამგეობა.

## შავი ქვის მრეწველთა საბჭო

ამით აცხადებს, რომ 1922 წლის 20 აგვისტოსათვის მოწვეულია ჭიათურაში ადგილობრივ თეატრის შენობაში დღის 12 სათზე.

**შავი ქვის მრეწველთა მე-XXIV—(მორიგი) ყრილობა**

შემდეგი საკითხების განსახილველად:

1. არჩევა ყრილობის თავმჯდომარის და მდივნისა.
2. განხილვა ანგარიშების: ა) საბჭოსი, ბ) სარევიზიო კომისიის და გ) მარგანეცის კომიტეტის.
3. განხილვა სტატისტიკური ცნობის მაღაროების ნაყოფიერებაზე, სადგურების საწყობებზე მდებარე შავი ქვის რაოდენობაზე, გატანის რაოდენობაზე, რკინის გზის გადასაზიდავ საშუალებებზე, საწყობებზე და სხვა და სხვა.
4. სამრეწველო რაიონის ხევებში მისავალ რკინის გზების გაყვანა.
5. ახალი სამრეწველო გზების გაყვანა და ახალი ხიდების აშენება.
6. ტელეფონის შესახებ სამრეწველო რაიონისთვის.
7. თვითმდენი წყალსადენის გაყვანა სამრეწველო რაიონისთვის.
8. გეოლოგიურ-ტეხნიკური აწერილობა სამრეწველო რაიონისა და შესაფერი გეგმების დამზადება.
9. მრეწველთა და მთავრობის დაწესებულებათა მუშა მოსამსახურეების უფასოთ ექიმობის მოწესრიგება სამრეწველო რაიონში.
10. რკინის გზის საკითხები, რომელნიც ეხებიან მარგანეცის ტრანსპორტის პირობების გაუმჯობესებას და სხვა.
11. საბჭოს ვალების შესახებ.
12. სტიპენდიების დაარსება.
13. მიმდინარე საკითხები.
14. საბჭოს ქონებრივ საშუალებათა გაძლიერება.
15. 1922 წლის უკანასკნელი ოთხი თვის და 1923 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა.
16. თანამდებობის პირთა არჩევა.

## მთავარ ტყავკავშირი

### ს. ს. ს. რ. ს. მ. უ. ს.

თბილისი ვორონცოვის ქ. № 82. ტელეფონი 3—08.

ტყავკავშირის უწყებაში

**ტყავეულობის ქარხნები**

**პეწების ფაბრიკები**

**ფეხსაცმელების ქარხნები**

**სასარაჯო საუნაგირო და ტანისაცმელის სახელოსნოები**

მიიღება შეკვეთა ტყავეულ და ქეჩების ნაწარმოების როგორც არმიისა, ისე საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებათა საჭიროებისათვის.

განყოფილების მაღაზიებში (სომხური ბაზარი, №№ 6 და 62).

ეძლევა ყველას ბითუმად და ცალობით ყოველნაირი ფაბრიკატები თავის წარმოების.

# ღიმი დამღუპი.

— ეგ თქმა: „მშვენიერ სხეულში სულიც ლამაზი“ უფრო ადრინდელია, მინამ ელინთა მცნება; იგი დასკვნაა ძველისძველ ნათელთა თაყვანისმცემლობისა,

— როგორ?

— კარგი ადამიანი რაინდია ნათელი შემოქმედის მხრივ გამოსული ბნელთან საბრძოლველად, მებრძოლს კი სულის სიმტკიცისა და სიკეთესთან სჭირია ნივთიერი კეთილქმნილებაც უხინჯო. რა რაინდია მანკიერად ნაგები, სხეულის ნაქთებში მახინჯებული?!

— შესაძლოა! მე მხოლოდ ვამბობ: ეგ დებულება ბევრჯელ არ ეთანხმება სინამდვილეს. მოხდება: კეთილქმნილ სხეულში უშნო სული ცხოვრობს, ლამაზი სული ხინჯიან აგებულობას ატარებს; ნაჯახით მორილ ტლანქ სხეულში ჰაეროვანი სული მინაზებული, სათუთად ნაგებ მოქნილ აღნაგობაში უდრეკი სული უხეშად ქმნილი.

— იშვიათად უნდა იყოს ეგ: დუხჭირი აგებულება ბოროტ გრძნობას თუ მისწრაფებას ჰბადებს სულში თუნდაც სხეულის ნაკლისაგან წამომდგარ ზიანის შესავსებლად და..... .თუ ერთხელ სულში შეაღო კარი ბნელმა, იბარტყებს იქ ბოროტი, ფესვებს გაიდგამს.

— ჰქვას ახლოა! ერთი გავიწყდება: ბუნება ოხუნჯია, უყვარს წინააღმდეგობათა მოთავსება ერთს ფარგალში, ერთსა და იმავე პიროვნებაში ერთმანეთის, უარმყოფელი ხორცისა და სულისა. იღიმება ბუნება არსთა ძალების ესეთს შეთამაშებაზედ.

— და ეგ მისი ღიმილი ძვირად უჯდება ქმნილებას.

— ოღონდაც! აი თუნდა ჩვენი გობრონი.....

— სუ, კაცო! აგერ მოგოგავს. ეწყინება ესეთი სიტყვა: თავისზედ მიიღებს

— ყმაწვილებს გაუმარჯოს! დაიძახა გობრონმა და გაულიმა ამხანაგებს. გამაცნეს. თავი მოიხარა, ფეხი ფეხზედ შემოჰკრა, ხელი ჩამომართვა. ძლივს მოვავლე თითები ოთხკუთხ თათს. სქელი რამ მაჯა მოჩანდა გაქათქათებული პერანგის სახელოდან. ხმამ გამაკვირვა.

— მორგვივით კისერი, ჩინჩახვიანი ყელი და ესეთი წვრილი ბგერები?! ცხრა-ათი წლის ნაზარდი ხმა ოცდაათ წლამდინ მიღწეულ კაცში....

გვითხრა. ვუთხარით. ნაზად ამბობდა; ოდნავ ენას უკიდებდა. საუბარის დროს არგანს ათამაშებდა: ზუმბასავით წვრილი ჯოხი; ძვლის ტარი ჩუქურთმიანი. უფრო შესაფერი იქნებოდა რიკნა ჰიგოსებური. განათლების პაწაწა ნიშანი ყარამანის მკერდზედ. ჩაცმა-დახურვაში, ხარჯებზედ თავისუფლად ლაპარაკში ეტყობოდა, შეძლებული იყო. ამოიღო სათუთუნე, ჩუქურთმით მოკაზმული ნივთი ჰაეროვანი. გადმოიხარა ჩემსკენ, თუმცა ვერ გადმოყვა განიერი წელი.

— ინებეთ!

— გმადლობთ!

სცადა მარჯვედ ჩაეკეტნა კოლოფი; მოკლე თითებმა ჩადრიკეს ნივთი. გავშორდი ნაცნობებს, როცა სადილზედ ჩამოაგდეს საუბარი და სურვილის თვალით შეხედეს გობრონს.

ნაცნობები გავხდით. შევხვდებოდით ერთმანეთს ქუჩაში, ყაბახზედ, თეატრში და თავს ვუკრავდით. ფართოდ გამიღიმებდა, ალერსიანად. ყოველთვის კარგად იყო ჩაცმულ-დახურული: ჩალის ფერი ტალავარი, ღია ფერის ფეხსაცმელი, ყელზედ ოდნავ შეწინწკლული ფანცი საფირონის ქინძისთავით შემაგრებული, ნეკზედ ალმასის ბეჭედი წვრიდლეროანი; მინანქრიანი ოქროს საათი მსუბუქი ძეწკვით; რბილი ქუდი იღლიაში. ყალღზედ ედგა სხვილი თმა. უფრო ნაზ ქსოვილებში, მქრქალ ფერებში უყვარდა გამოწყობა მომხოდ აღნაგებს, ყინჩ ფერ ნაჭარბებს. თანქარა ლოყები: ხორცით სავსე ტანი ისეც ძვალსხვილს. არ უხდებოდა ხაიათი ტალავარი, არ ეფერებოდა.

ერთხელ სეირნობის დროს შორიდან შევნიშნე გობრონი და შევდეგ გაკვირვებული. მოდის ახლებში გამოწყობილი და..... გვერდზედ ციაგა ჰაეროვანი, ჩემი კარგი ნაცნობი ციაგა, შორეული ნათესავი.

— გობრონი და ციაგა?! ლელწამივით ქალი და ვაჟის დიდი ტანი მოკლე ფეხებზედ?! ციაგას იმლიკი ხასიათი და გობრონი შინაურ სამოსში ან საცვალთ ამარა?! მაგრამ, ჰო, ქალი ხელმოკლობაში ჩავარდნილი, კაცი შეძლებული. ოქრო სჯობნის ანდამატს მიმზიდველ ძალით.

— გობრონს ვახლავარ! მივესალმე ვაჟს და წარვსდეგ ქალის წინ: ხელზედ ვაკოცე, მოვიკითხე. გობრონი გალცებული მიყურებდა. როცა ნახა, ჩემი მახლობელი იყო ქალი, მეტად უამა. თანაგრძნობით დ•ვემშვიდობე დაწყვილებულთ. მივხედე მიმავლებს. ვაჟი მხრებამდინა სწვდებოდა ატოლებულ ქალს. წარსთქვეს მომავლებმა:

— რა ტანია!

— ლატანია!

ქალი რომ ჰაერჰაერ მიცოდა, ვაჟი მარგილივით ასომდა ფეხს, ერთბაშად ატყაპუნებდა მთელ ტერფს. სხვადასხვანაირია სვლა: ერთი ქუსლიდანა ზომავს გზას თითებამდინ, სხვას დაბიჯებაში აქლემივით უბრტყელდება ფეხი, ზოგი ქლიკებზედ დად... გობრონი... სხვანაირად არ გადიდგმებოდა სპილოს წვივზედ ბმული ოთხკუთხი თათი.

ვზივარ ოთახში. ვეწევი ჩიბუხს ჩიბუხზედ, არ ვიცი რა ვუყო ჩემს დროს ვერ მიმიგდია თავი საქმეზედ.

— დავიძინებ!

— ჯერ დავლევ ხორბალ!

— მოიცა სადილობამდინ!

— მაშ გავივლ-გამოვილი!

დავასკვენ წასვლა. ჩავიცვ-დავიხურე. გაისმა ზანზალაკის წკრიალი. შევკრთი: მევალე მეგონა. ცალი თვალით გადავხედე ფანჯრის კუთხიდან. გობრონი იდგა ჩემს კარს. გამეხარდა; ვსთქვი: გავერთობი! ვილაპარაკეთ. გამენდო:

— კვირა საღამოს ქალბატონ ციაგასთან ვიქნები და იქ დამიხვდი; ვითომ შემთხვევით მოხვედი.

— მოვალ: დავდივარ იმათას.

გაეხარდა. უფრო დამენდო:

— გადაჭრილ ნაბიჯს ვაპირობ: განუცხადებ სიყვარულს და... ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამა...

— ციაგას უყვარს შოთას სიტყვები; ზეპირად იცის.

— მე ცოტა ვიცი რუსთველიდან: რუსეთს დავყავი ბევრი ხანი და...

— რა უშავს; შეისწავლი.

— ძლიერ ვეცდები, ოღონდ კი ერთი ვეწიო ჩემს სურვილს!

— აღარა ჰხუმრობ: შეგყვარებია,

— იცი, დათიკო, მარად ეგეთ ქალს ვეტრფოდი ოცნებაში: სხარტი, მოქნილი, ყვავილივით ნაზი, სხივივით გამჭვირვალ - მანათობელი; თანაც კდემამოსილი. ბედნიერი ხარ, შენი ნათესავია.

— უბედნიერესი შეიქმნები მისი მეუღლე!

— შენს პირს შაქარი!

— თუნდ შაქარინი!

— კაცო, დათა! სახელი ხომ უბრალო რომ წოდებაა, მაგრამ ამასაც დიდი შერჩევა უნდა. სჯობია, თითონ აირჩიოს ადამიანმა თვისი სახელი. დავით იესეს ძე, დავითი, დათიკო, დათა... რა კარგია! გობრონი... უშნო ხმებია. საალერსოდ შეამოკლო, ვერ მოახერხე. მესმის: ია, სოსანა, სანდალ... გობ-რონი... უჰ!

— არაფერი! ყურმა შეჩვევა იცის. აბა, გობრონ ჩემო, მარჯვედ იყავ კვირას და... მეც იქ ვიქნები, შენს გვერდზედ.

ადრე წამოსულიყო: ძალიან თუ ესწრაფებოდა. პატივცემით მიიღეს. უფრო მეტის ეშხით იყო ოთახი მორთული. მაგიდაც სანუგეშოდ იდგა: გაკრიალებული ჩაიდანი დუღდა, მღეროდა. მურაბა, თეთრი პური, ყველი; კარაქიც. შუაზედ ლამაზი მაშრაფა ყვავილებით. ციაგას მღელვარება ეტყობოდა, ფერი მისდმოსდიოდა. სხვებიც ღელავდნენ. ყველა დარწმუნებული იყო, გობრონი დღეს განუცხადებდა თავის სიყვარულს. დედმამას ეშინოდა, ქალმა უარი არ უთხრას და შეძლებული კაცი არ დაგვაკარგინოსო. ქალი უკრთოდ გადამწყვეტ წუთსა: არა შეუძლებლად მიაჩნდა, ჰო არ ემეტებოდა. მღელვარება თანდისთან ხელსა ჰრევდა სასიძოს: წითლდებოდა, თვალები უმრგვალდებოდა; დაუდგრომლად იძროდა, მის სკამს ჰრიალი გაჰქონდა. სახე დავიწყნარე, ვუმატე დარბაისლურ თქმას: მაგალითს ვაძლევდი სიდინჯისა. ვერ შევაგონე! სიტყვა აუჩქარდა გობრონს: ბგერები თავისთავად მომდინარობდნენ პირიდან. ენის მოკიდებაც უფრო დააჩნდა. დაიწია სკამი, ქალისკენ მიიხარა: თქმის დროს წამოდგომა დასჭირდებოდა, იმას უმიზნებდა. ფეხი—ფეხს შემოიდო. თითები რომ ვერ დასწდომოდა ფეხთსაცმელს, ბამბით გამოეტენა იგი; მოჩანდა, სად თავდებოდა ფეხი. ხასად აათამაშა ჰვინტი. შევხედე, ვაგრძნობინე. ჩამოდგა ფეხი. გაუშტერა ქალს თვალი.

— ჰე, იტყვის!

ჯერ ენაზედ აშრებოდა სათქმელი: უნდოდა ლამაზად ეთქვა სამურაზო, კობტა სიტყვები კი ეფანტებოდნენ. წასწვდა ჩაის. ბროლის ჰიქებით გვედგა. ლამბაქებიც ბროლისა. თხელ შუშაზედ ყვავილები გამოყვანილი. ღელვისაგან ხელი ოდნავ უკანკალებდა. შენიშნა ეს და უფრო მკვიდრად დაიჭირა ჰიქა თითებში. კვლავ მიაბყრო ქალს თვალი; ტუჩები აამოძრავა. ერთი წამიც და... ჰაჰ! უხეში თითებში ჩატყდა ჰურჭელი.. ნამსხვრევები. მდუღარება. კალთები. იატაკი. მივეშველე: ვამშრალებდი. ნაწყვეტი სიტყვები. ერთს ხანს შეკრთა ციაგა, თითქო შეწუხდა. მერმე... თვალებში ღიმი აჩნდა, დამცინავი ღიმი დამღუპი. გაიშალა იგი ღიმი ქალის სახეზედ, გაუპო ბაგე. იბრუნა პირი... ჩამსხვრეული ოცნებები. ჩაფუფქული იმედები. მონთქრეული ტკბილი ნატვრები.

ვასილ ბარნოვი.

# მ. გორკი

„იზვესტიაში“ მოთავსებულია მაქსიმ გორკის საწინააღმდეგო წერილი, ერდესი, სათაურით: „ფსკერზე“. მოგვყავს ნაწყვეტები აღნიშნულ წერილიდან:

„ჩვენ ვერ წარმოგვედგინა თუ „რუსეთის სიმკაცრის“ შესახებ ლამენტაციები „ფსკერზე“ს ავტორს მიიყვანდენ პოლიტიკურ ემიგრაციის ფსკერამდე და მას იდეურად და პოლიტიკურად დაუკავშირებდა ემიგრაციის ყველაზე უფრო დაცემულ ელემენტებს. ასეთი ფინალი მით უფრო მოულოდნელი იყო რომ როგორც თვით გორკი აცხადებდა, იგი მიემგზავრებოდა საზღვარ გარეთ საექიმოთ და კოროლენკოზე მოგონებების საწერად.

საკითხავია რად მოაგონდა მას „მხეცი და სასტიკი“ რუსის ხალხის აქიმობა და „ჩემი თანამედროვეს ისტორიის“ ავტორზე მოგონებების ნაცვლად უეცრად ალაპარაკებულიყო... მაგალითად ვთქვათ ებრაელ კომისრებზე“

საერთოდ გაოცებას იწვევს გორკის დღევანდელი ნაყოფიერება უკანასკნელ წლებში ეს ხაზი მას მგონი არ ემჩნეოდა! სულ მოკლე დროში მან მხოლოდ ერთ „პოლიტიკენში“ ოთხი გრძელი წერილი მოათავსა, შემდეგ ესაუბრა შოლომ აშს, რომელმაც ეს საუბარი გამოაქვეყნა ამერიკულ გაზეთში „ფრეიგანტში“ შემდეგ ამ საუბრის შესახებ თავისი უკმაყოფილება გამოთქვა და გაუგზავნა რედაქციას მეორე წერილი, რომელსაც მისი აზრით საუბარში კორექტივები უნდა შეეტანა, შემდეგ ესაუბრა ლეშჩინსკის; უკანასკნელმა გამოაქვეყნა საუბარი ნიუ-იორკის გაზეთში „ფორვერტში“ შეიძლებოდა გვეხუმრა, რომ გორკი, როგორც მწერალი, განიცდის ბალზაკის ასაკს, მაგრამ გორკის ახალი ამოჩენათა შინაარსი სრულიადაც არ გვაყენებს ხუმრობის ხასიათზე.

ევროპისა და ამერიკის პრესა განსაკუთრებით შეაშფოთა თეთრ გვარ-

# სიყრმის ნაპირები

ალექსანდრე ბლოკ 1917 წლამდე.

მე შეურყევლად მრწამს, რომ დღეს, როგორც მაშინ, სიყრმის დროს, ჩემთანაა ალექსანდრ ბლოკის სული.

მან შეუმჩნევლად გადმოიფრინა ძველი სამოთხის კარი სამ მისან ფრინველის შავ და ოქროს ფრთებით დანისლული და მოაშურა ჩვენ აღგზნებულ გულებს, სადაც პოეზიას აქვს აგებული რკინის ურდოებით დარაზული კოშკები და ფოლადას სიმტკიცით შეთქმული რაინდები.

მის ნეტარ სულს, დღეს ლათინურ ლექსად რომ მღერის ჩრდილოეთის გაგიჟებული ქალაქის გაყინულ ნისლში, უნდა აღსდგეს და არ შეუძლიან.

Хочет встать—и ночь.

მას უნდა მოიგონოს თავის ამა ქვეყნის გზა, კვლავ განიცადოს „ნაცნობი ქმედითი აღელვება“, რომელიც იტაცებდა მას თორმეტი წლიდან და „სულთა ნათესაობის“ მაგნეტიზმით მიჰყავდა რუსულ ქრისტე და პლატონთან ერთად, ვლადიმირ სოლოვიოვთან „დილის ნისლში“ პირველმა რომ დაინახა „საიდუმლო და მხიბლავი ნაპირები“.

მას ჯერ კიდევ ყრმის დისკანტი აქვს. როგორც კათოლიკურ კონფირმაციის ჰასაკში მყოფი ბავშვი, იგი მხოლოდ სანთლებს ანთებს ტაძარში და საცეცხლურის ცეცხლის გაღვივება აქვს მინდობილი. უმოძრაო დარაჯად გადაქცეული იგი იოანეს ტრაპეზში ვერ შორდება მორცხვ ოცნებებს. არავის არ უნდა გაუნაწილოს შეხვედრები. ის ორივე მხრიდან აელვებული ხმალია მთავარ ანგელოსის, დარეკილ ლექსით უტყუარი დარაჯი.

მაგრამ პატარა ეშმაკები და კარლიკები ესევიან მას ღამის იის სიზმარში, არ აძლევენ მას მოსვენებას, ბავშური ხმით ეხვეწებიან:

„შეგვინდე, ნუ წაგვიყვან წმინდა ადგილს: ჩვენ აქაც ვკოცნით ჩვენი მ ი ნ დ ვ რ ი ს ქრისტეს საფეხურს“.

მერე ნაზის კოცნით, პუშკინის მუსიკობით მას ამშვიდებს ცისფერ მწყემსის სინაზე, ოქროს მატყლის სიჩუმე და სევდა.

შორეულ ოთახში სძინავს მის ბავშვს, რადგან პატარა კარლიკს მშვიდათ ხელთ უპყრია საათის ისარი... და მწუხრის ღვთის მშობლებს მიჰყავთ თეთრქუდა ბავშვები მოსაღამურებულ ქუჩებით...

და აი აქ, თეთრ ღამეებში, თითქოს ელექტრონის პარკეტზე, ფონტანკის სიზმარში მოდის და იზრდება

„არა ჩვეულებრივ სილამაზის ქალის მართლაც მშვენიერი პორტრეტი. ის შავ აბრეშუმის კაბაშია, მეტად სადა და მიმზიდველ ფასონით. მოშავო თმები სულ უბრალოდ, შინაურულადაა მორთული. შავგრემანი, ღრმა თვალები. ჩაფიქრებული შუბლი. ვნებიანი და თითქოს ამპარტავანი სახის მეტყველება. ის რამოდენიმედ გამხდარია სახით და, შეიძლება, მკრთალიც...

— როგორ გაიგეთ, რომ ეს მე ვარ? სად გინახავართ წინეთ? მართლაც რა არის თითქოს მინახავხართ?

— მეც თქვენ თითქოს სადღაც მენახოთ?

— სად?—სად?

— მე თიქოს თქვენი თვალები მენახოს სადღაც... მაგრამ ეს შეუძლებელია! ეს მე ისე... მე აქ არასოდეს არც კი ვყოფილვარ. შეიძლება, სიზმარში იყო“...

ის—Незнакомка—ეუფლება რესტორანებს და ტბებს. ის ყოველ საღამოს დანიშნულ საათს ღვინით სავსე ჰიქის ძირში ცხადად ეჩვენება რაინდ პოეტს.

И веют древними поверьями
Ея упругие шелка,
И шляпа с траурными перьями,
И в кольцах узкая рука.

ძველ გადმოცემებით სავსეს, დაყრუებულს ღვინით, განთიადით და „უცნობ ქალით“, უძველეს თქმულებათა სუნთქვით და სამოთხის ფრინველის ფრთების რხევით ერევა პოეტს ლექსთა ფურცლები, სანამ ყვავის შისი თვალები, და ზანტად წამოქცეულ ეგვიპტის მეფის წინ სულს აკმევებს ყვავილებად და აწეულ გრძნობით კეისართან გადადის თავის ამპარტავან შუბლით და გრძნობით.

Царица, я пленен тобою.
Я был в Египте лишь рабом,
А ныне суждено судьбою
Мне быть поэтом—и царем.

სამყაროში პოეტი შედის, როგორც ბნელ ლოჟაში, სადაც ტრაურული განთიადები, ფრთიანი თვალები მას სწვავენ და აღელვებენ მოჩვენებულ სიცხადით.

მისთვის სულ ერთია საით მიიჩქარის მისი სულის მეფური მატარებელი, ის დააბრმავა თოვლიან ღვინომ. აცეტილენის სანათის კრთომაში ის ხედავს როგორ ჩამოდის ხატიდან მარგალიტებით დატვირთული თოვლიანი ღვთის მშობელი.

ლუდხანაში სემინარიელს გვერდში უზის ორი „ამაქვეყანისანი“, ორი „ზედმეტი“, მეტაფიზიკაში გადასული, სიცხადე—ჩამოსხმული ვერლენი და ჩამოსხმული ჰაუპტმანი.

. . . . . . . . . . . . . . . . .

აქ ბატონია ბეატოს ლურჯი სიზმარი და მადონას შავ თმებში ჩაქსოვილი ლექსის უძვირფასესი ალმასი. ვნების ხავერდით აქ ნაზად ჰკოდავს პოეტს თეთრ ბეჭებზე შავი ხავერდი. ყვითელ ვარდებით შემოფარგლულ ფლორენციაში, იტალიის ცხელებაში მან არ იცის—ვინ მისცემს მას ტკბილ და წყეულ სიცოცხლის თრთოლვას.

Быть может, венецейской девы
Канцоной нежной слух пленя,
Отец грядущий сквозь напевы
Уже предчувствует меня?

მაგრამ კმარა... ამღერებულ სიყრმის პოეზიამ მიღალატა.

მესმის სულ სხვა ხმა. ნუ თუ მოსწყინდა პოეტს „აქ“ ყოფა?

იქნება, „ამ“ თანამედროობით სუნთქვა მისთვის ძნელია?

ან იქნება, იგი მიიჩქარის კიდევ ერთხელ ესტუმროს ცინიზმით და სინაზით სავსე „ვარდის და ჯვარის“ ტკბილ და სასტიკ სურნელით დამთვრალ მირაკლების საფრანგეთს,

მეფეებს და მასხარებს,

ნეაპოლელ დიაკვანს პავლეს,

ლათინურად ამღერებულ ტეოფილეს?

იქნება მან „იქ“ უკვე ნახა წმ. ბონავენტურა, ზვიადი მედიჩები?

თუ მას ნაბრძანები აქვს ცივ კომანდორისაგან

Чтоб спящий в гробе Теодорих
О бурях жизни не мечтал?

მას ასე ეშინოდა, რომ რომელიმე მოგვიანებული ისტორიკოსი დასწერდა მასზე მსხვილ წიგნს და გააწვალებდა უდანაშაულო ბავშვებს მოსაწყენ ციტატებით და დაბადება—სიკვდილის წლებით.

მისი ფერისცვალების ერთი წლის შემდეგ იგი მეზმანება სოლარიოს ახალგაზდა ვენეციელ სენატორად და დათოვლილ ნევის პროსპექტის სიმაღლიდან მოსვენებას არ მაძლევს სიყრმის ერთი მოგონება, როდესაც ათი წლის წინად (და თითქოს გუშინ!) მე მოსკოვიდან გავეშურე პეტერბურგს მის შესახვედრად და ნისლებმა ისე დამიბნიეს გზა, რომ ველარ მივედი მასთან და მივმართე მას წერილით, რომელიც—მე მინდა—გადაურჩეს ოქტომბრების ქარს და თუნდაც ვენგეროვის არქივში იმღეროს სიყრმის და სიყვარულის სიმღერით.

მისი გამოძახილი შენახული მაქვს და არც ათავებს საპასუხო სიმღერას ჩემს გულში, რაც უნდა მაწვალებდეს დროს წვეთები. აი ისიც:

8 марта 1912 г.

Петербург.

Дорогой Алексей Ильич. Спасибо Вам за Ваше любящее письмо; вот что я думаю, читая его: для Вас стихи тех поэтов, о которых Вы пишете (и мои), как „елисейския поля“—благоуханныя цветущия поляны... прошлаго. Сюда относится Ваше такое тонкое и такое человеческое выражение: „с ними мне не так грустно, т. е. грустней еще“. Я это чувство очень хорошо знаю, временами подчиняюсь ему, и не люблю его, или, выражаясь по Вашему, „еще печальней люблю“. В этом же смысле могу сказать: „не люблю я стихов“—т.е., „слишком болезненно люблю“, за то, что все прошедшие стихи (и мои в том числе) способны стать, вдруг „полями блаженных“, царством забвения.

Вы говорите: „есть сладкая тоска стихов“. „Без них—жить на свете тоска, просто дрянь“. Я говорю Вам: понимаю Вас, но не хочу знать этого. Мы пришли не тосковать и не отдыхать. То чудесное сплетение противоречивых чувств, мыслей и воль, которое носит имя человеческой души, именно оттого носит это радостное (да, несмотря на всю „дрянь“, в которой мы сидим) имя, что оно все обращено более к будущему, чем к прошедшему; к прошедшему тоже,—но, поскольку в прошедшем заложено будущее.

. . . . . . . . . . . . . . . . .

Не видав Вас в глаза, хочу сказать Вам: Милый Друг, берегитесь елисейских полей; пока есть в нас кровь и юность,—будем веровать будущему. Если в современной противоречивой и вялой жизни многое тонкое и высокое безсильно сказать нам о будущем, будем беречься его, будем даже любить более грубое и более низкое (в культурном что ли смысле), если там голос будущаго громче. Напр., если в моих стихах для Вас есть свое утешение от тоски—тоскою еще более глубокой, и, тем самым, более единственной, более аристократической,—то лучше не питайтесь ими. Говорю Вам по своему опыту—боюсь я всяких тонких, сладких, своих, любимых медленно действующих ядов. Боюсь и, употребляя усилие, возвращаюсь постоянно к более простой, демократической пище.

. . . . . . . . . . . . . . . . .

Может быть, я не верно понял Вас, или Вы не сказали главнаго... ... боюсь столь понятных мне искушенний „сладкими звуками и молитвами“.

„О страшных песен сих не пой,
и т. д.

Об'ясните мне, прошу Вас; верно ли я понял Вес? т. е. что для Вас мои стихи? Только ли „елисейския поля“, или морфий? Если так, то виноваты мы оба: Вы, не прочитавший между строк больше того, чем с'умел (но ведь хотел!) написать я; и я, не сумевший написать того, что хотел, засадивший в тюрьму сладких гармоний юношу, который у меня в груди (ведь это—вечное проклятие художников, и у меня давно нет „культа“, как Вы говорите, даже великих художников мира, только художников.

Последняя просьба к Вам: если Вы любите мои стихи, преодолейте их яд, прочтите в них о будущем.

Алексанбр Блок.

ჩემი უკანასკნელი თხოვნაც: დღევანდელ პროვინციალურ წუთებში, როგორც უცხოელს, ნუ გაატანთ მიმაფრენ პოეტის დიდ სულს ნურც ერთ სინანულს, რადგან პუშკინ—მიცკევიჩივით:

Огонь поэзии чудесной
Сердца враждебныя дружит

და, როგორც სალომეს კაბის ხვეულებს, ჩავაქსოვოთ მის მაღალ სულს და მეფურ ლანდს ოქროს ყვავილები.

ალი არსენიშვილი.

დიელები კი გაახარა გორკის აღმოჩენებმა საერთოდ ებრაელების და განსაკუთრებით კი ებრაელ კომისარების შესახებ. რატომ მიაქცია გორკიმ ამ საკითხს ასეთი ყურადღება ეს მხოლოდ ღმერთმა უწყის. მაგრამ მ. გორკი ამ საკითხს რომ რაღაც გიპერტროფიულ მნიშვნელობას აძლევს. ეს ჩანს იქიდანაც რომ შალომ აშმა მასთან საუბრის შემდეგ პირდაპირ ჯვარი დაუსვა ებრაელების არსებობას. ხუმრობა ხომ არ არის ,,ანტისემიტიზმი რუსეთში ისე გაიზარდა, რომ მთელი ებრაელობა გალვივებულ ნახშირზე ზის". მართლაც „არა მხოლოდ რეაქციურ წრეებში, არამედ წითელ ჯარშიაც ისეთი სისხლიანი სახე აქვს მიღებული ანტისემიტიზმს, რომ მხოლოდ რკინის დისციპლინა და სიკვდილით დასჯა აჩერებს მას არ მოახდინონ ძალადობა ებრაელებზე". „ანტისემიტიზმი ამ ჟამად ისეა გაძლიერებული რუსეთში როგორც არასოდეს, და, ბოლშევიკური სიმაგრის გაბზარვისთანავე მთელი ებრაელობა შეიქნება მსხვერპლი''. პირველ გაბზარვისთანავე... ნუ თუ შეეძლო გორკის ასეთი აზრებით გაემსჭვალა შორომ აში? შეეძლო თუ არა სხვა საკითხია ჩვენ გვაქვს საქმე აზრებთან, რომლებიც შავადაა ასახული თეთრ ქაღალდზე.

„არა საერთოდ ებრაელ ბოლშევიკებმა, არამედ უპასუხისმგებლო ბავშვებმა წაბილწეს რუსის ხალხის წმინდათა წმინდა. მათ აქციეს ეკლესიები კინემატოგრაფებად, სამკითხველოებად, ისინი არ უწევდნენ ანგარიშს ხალხის გრძნობებს"

გორკი დიდსულოვანია. „რა თქმა უნდა ებრაელები არ არიან დამნაშავენი. ბოლშევიკებს შორის ბევრია პროვოკატორი ძველი რუსი მოხელე და ყოველგვარი მაწანწალა". ამ მოხელეებმა, ხულიგნებმა და მაწანწალებმა დააგზავნეს პროვოკაციული მიზნით „სწორეთ ებრაელები, საცოდავი და უპასუხისმგებლო ებრაელი ბავშვები ამ საქმის გასაკეთებლად", ესე იგი საეკლესიო ღირებულებათა გამოსატანად და ჩარეულიყვნენ ისეთ საქმეში, რასაც პირდაპირი კავშირი აქვს „რუსის ეკლესიასთან და რუსის სულთან". ეს უკვე გორკის სიტყვებია, რომლებსაც იგი არ უარყოფს და რომლებიც ასე ახასიათებენ მის შეხედულებას კომისარებზე და ებრაელებზე დღევანდელ მომენტში.

რა ანსხვავებს ასეთ შეხედულებაში „ბურევესტნიკის" ავტორს სუხარევკის პირიჯნებით მოვაჭრე ქალისაგან—დეე ეს თვით მკითხველმა გაარკვიოს. ჩვენ უნდა ვთქვათ ახდილად მათ შორის ვერავითარ განსხვავებას ვერ ვხედავთ. აქ რომ მხოლოდ შეცდომებს ჰქონდეს ადგილი, ეს არ იქნება დიდი ცოდვა მათთვის. აქ გორკის მტკიცება სრულ სიყალბეს წარმოადგენს. სად ნახა მან ეკლესიები კინემატოგრაფებათ და სამკითხველოებად გადაკეთებულნი. სად ნახა მან „მოხელეები, ხულიგანები და მაწანწალები", რომლებიც ხელმძღვანელობენ „უპასუხისმგებლო ებრაელ ბავშვებს" და სად ნახა მან რომ „ებრაელ ბავშვებს" გამოჰქონდათ ეკლესიიდან ძვირფასი ნივთები და მით „ბილწავდენ რუსული ეკლესიას და რუსული სულის წმინდათა წმინდას?" და რომელ ამყრალებულ წყაროდან მიიღო მან ეს ცნობები? ვინ გვიპასუხებს?

დაპირებულ უარყოფაში იგი უფრო ამტკიცებს თავის დებულებას. და მართლაც გორკი სწერს თითქოს მან სთქვა: „ანტისემიტიზმის გაძლიერების მიზეზი რუსეთში არის ებრაელი ბოლშევიკების უტაქტობა„-ო. მაგრამ როგორ უარყოფს იგი ამ სიტყვებს? „რუსის ხალხი—ამბობს იგი—იმიტომ არის უმთავრესად გაბრაზებული ებრაელებზე, რომ უკანასკნელნი იღებენ მონაწილეობას ანტი რელიგიურ და ეკლესიის საწინააღმდეგო გამოსვლებში'' აი უარყოფაც ასეთი უნდა. ან და მეორე "უარყოფა'' გორკი უარყოფს რომ მას არ ეკუთვნის ეს ფრაზა: ,,შორს ხელები რუსის წმინდათა წმინდისაგან''. მაგრამ იგი არ უარყოფს თავის მიმართვას ებრაელი ბოლშევიკებისადმი; ,,ნუ ჩაერევით ისეთ საქმეში, რომელსაც რუსულ ეკლესიასთან აქვს დამოკიდებულება''. კიდევ მეტი.

წინეთ გორკი მხოლოდ ძვირფასი ნივთების გამოტანისა და წმინდათა წმინდის შებილწვის შესახებ ლაპარაკობდა. თავის უარყოფაში კი მან დაუმატა: ,,ანტისემიტიზმის ზრდა იმითაც აიხსნება, რომ ებრაელი კომუნისტები მონაწილეობას იღებენ ხორბლის რეკვიზიციაში და აგრეთვე იმითაც, რომ ისინი (კომუნისტი ებრაელები) ილაშქრებენ არა კომუნისტ-ებრაელების კულტურულ მუშაობის წინააღმდეგაც''. კიდევ სიყალბე!...

შემდეგ იგი სწერს: ,,კომუნისტურმა ინტელიგენციამ ,,შებორკა მხეცი ადამიანში''-ო. გორკის აზრი რუსეთის ხალხზე და რუსეთზე ცნობილია საყოველთაოდ. რუსეთი—,,ნახევრად მხეცი ადამიანების ქვეყანაა''. რევოლიუცია ,,სასტიკი და მკაცრია''. რა არის ამაში საკვირველი''. ,,სისასტიკე და სიმხეცე იმ ფორმებში, რომლებიც მიიღო რევოლიუციამ აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ რუსული ნაციონალური ხასიათის სიმკაცრით და სიმხეცით''. გორკი დორბლით პირზე იცაეს ევროპაში ტროცკის, ზინოვიევს და საერთოდ ,,რევოლიუციის აქტიურ მოღვაწეებს''. ,,სიყალბეა ყველაფერი —ამბობს იგი, რასაც სწერენ ამ ხელმძღვანელებზე''. ცილისწამებაა. პირიქით ეს ხალხი ებრძვის სიმხეცეს და სისასტიკეს''.

ვინ არის გორკი ანტისემიტია თუ არა? დეე ეს თვით მკითხველმა განსაჯოს. წარსულს სრულიად არ ძალუძს შეამსუბუქოს გორკის დანაშაული რუსის ხალხისა და მშრომელ ებრაელ მასების წინაშე ჩადენილი. დეე აშმა ამტკიცოს რომ გორკის სიტყვები საგსე იყო ,,ებრაელების ღრმა სიყვარულით. ჩვენთვის ეს არ არის დამაჯერებელი. ჩვენ კარგათ უყურებთ ვის ჩამოართვა ხელი გორკიმ და **როგორი** ებრაელი უყვარს მას.''

## გიორგი ლეონიძეს

შენ გაქლენთილხარ პოეზიით, ვით ლოთი ღვინით.
მგოსნურ სიმთვრალეს უდარდელი შეიქცევ ლხინით.

ფურცლისფერ სახით მიაბიჯებ შექმნილ ჭაობზე.
ეძებ ძველს რაინდს შენსავ მოდგმის სასაფლაოზე.

სცნობენ შენს ძახილს, ვით სცნობს ხოლმე მიმინო სავათს.
სალამს გაძლევენ ცხად სიზმარში ძველთაგან თავადს.

დამსხვრეულ გვირგვინს მოგართმევენ დაჩონჩხილ ხელით.
ვიღაც აჩრდილი თუჯისფერი გამოდის ხვრელით—

ოქროს თასს გაწვდის ცრემლით სავსეს, სცლი, გადასდიხარ.
დღეს ხარ სოლომონ! მსაჯულებას ველარ ასდიხარ!

ხან გრძნობა გიჩქეფს თეიმურაზ ბაგრატიონის,
ხან უერთდები გულ გახსნილი წარმართ დიონისს!

**სანდრო შანშიაშვილი.**

ქიზიყი 1922 წ.

## ბველეშაპის რკალში

(ესკიზები)

**მწერლის ხვედრი.**

პროვინცია.

ორი მწერალი.

ერთმანეთის სრულიად წინააღმდეგი ბუნება. ერთად იდგენ; ერთად გამოდიოდენ სცენაზე. თუ ერთს ბევრი ჰყავდა თაყვანისა და პატივის მცემელი, მეორესაც არ აკლდა მიმდვარი და მიმბაძველი და დარბაზში და პრესაში ერთგუნდათ შეერთებულნი უძახდენ: ვაშა! გაუმარჯოს!...

სულის გრეხილებს, ღრუბლების ფერებს, პატიოსან თვალების ელვარებას ჯადო ქრობდა ერთი

გრდემლი, ქრთამი, გუთნის—დედა, ჩაქუჩი და სასჯელი იშლებოდა მეორე მეგობრის ფართო ტილოებზე.

ასე იყო ჩვეულებრივ დროს.

შესახედავადაც სხვადასხვა გვარი:

ტან-წვრილი, ცისკენ აღმართული თვალები, ფერ-მკრთალი, გრძელი წაბლის ფერი თმა-ქართველი შილერი!-მეოცნებე იყო ერთი

დაბალი, მსხვილი, მხიარული, შავჯაგრიანი იყო მეორე.

დალგა განკითხვის შავ-ბნელი დღე.

პატარა სცენაზე გამოვიდენ მწერლები

,,...ელექტროთი დალურსმული ქალაქი...''-კითხულობდა ერთი მათგანი

— სად ნახა ამ კაცმა ელექტრო და ისიც ქალაქის დამლურსმველი-ჩაილუღლუღა ვიღამაც ბოროტად.

,,... ღმერთმა გაშალა ხელი და ბედნიერება დააწვიმა ქვეყანას..."

სიჩუმე.

ვიღამაც სუსტათ დაჰკრა ტაში—ისე მოისმა თითქოს სუფლიორის ქოხიდანაო.

— რა ნამუსახდილობაა ჩვენს დროში ასეთი რამ! ღმერთი ვის სწამს და ბედნიერება სად არის? რისთვის არაკუნებს ნეტავი?—ნაწყვეტ - ნაწყვეტათ ისროდა სიტყვებს ვიღაც გაბოროტებული მსმენელი.

მეორეს დაწყებისთანავე აუხირდენ

,,...ბნელ ოთახში თვალცრემლიანი ქალი მოვლით, ალერსით უპირებს გამხდარ, მშიერ ბავშს დამშვიდებას...

— გაათავე, მამა ნუ წაგიწყდება!-ვერ ითმენს მსმენელი—რაღა შენი თქმა გვინდა, ჩვენც კარგათ უყურებთ მაგ ამბებს!

— სხვა რამ!... სხვა რამ!—ახმაურდა დარბაზი.

საღამო გათავდა.

ნერვებ-აშლილნი, ჩაფიქრებულნი მეგობრები შინ ბრუნდებიან.

— ჩავკეტოთ სტვირები ხანდუკშინაღვლიანათ ოხუნჯობს ერთი.

— არა! არა! მაინც ცისკენ აეროპლანით! მაინც ელექტროს ლაჟვარდისკენ!—ოცნებობს მეორე.

**ნ. ლ**

## ლიტერატურული ქრონიკა

### თბილისში ჩამოვიდნენ:

**ნიკო ლორთქიფანიძე და სანდრო შანშიაშვილი.**

**ვაჟაფშაველა** იბეჭდება და სულ მოკლე ხანში გამოვა ვაჟა ფშაველას სრული თხუზულებანი სამ ტომად: ლირიკა, პოემები, პროზა. წიგნი იწყობა საუკეთესო შრიფტით და იბეჭდება ძვირფას ქაღალდზე.

**საბა სულხან ორბელიანი და გრიგოლ ორბელიანი** მზადდება გამოსაცემად საბა სულხან ორბელიანის პროზა და გრიგოლ ორბელიანის აკადემიური გამოცემა ვრცელი მინოგრაფიით და ფართო ილუსტრაციებით.

**ქართველი პოეტი ქალები.** პოეტმა შალვა აფხაიძემ შეადგინა გამოსაცემად ანტოლგია: ქართველი პოეტი ქალები წიგნს დართული აქვს სათანადო გამოკვლევა და დღემდე სრულიად უცნობი პორტრეტები ქართველი პოეტი ქალების. წიგნში შესული არიან პოეტესსები XII-ს. ვიდრე უკანასკნელ წლებამდე. მასალები ფრიად საინტერესოა და რაც უფრო ძვირფასია ამნაირი წიგნი თითქმის პირველია ქართულ ლიტერატურაში. ანტოლოგია უკვე გადაცემულია დასაბეჭდათ.

## რუსეთიდან ქართულ სიძველეთა გადმომტანი დელეგაცია

შაბათს 29 ივლისს მოსკოვში გაემგზავრა რუსეთში დაცულ საქართველოს კულტურულ ნაშთთა გადმოსატანად მთავრობის საგანგებო დელეგაცია, რომელშიაც შედიან პროფ. კორნელი კეკელიძე და პავლე ინგოროყვა. დელეგაციას წინასწარ მოუხდება მუშაობა აკადემიურ რუსულ-ქართულ შერეულ კომისიაში ზოგი სადაო საკითხების გამოსარკვევად. დელეგაციასთან ერთად გაემგზავრა რწმუნებული ვუკოლ ბერიძე რომელსაც ევალება რეალიზაცია კომისიის დადგენილებათა სიძველეთა შესახებ.

დელეგაციის მუშაობა რუსეთში გასტანს ერთი თვიდან ორ თვემდე.

---

განათლების კომისარიატმა გუშინ დეპეშა მიიღო მოსკოვიდან საქართველოს წარმომადგენლობიდან, დეპეშა იუწყება, რომ რეგალიები, რელიკვიები უკვე ჩაბარებულია და საჭიროა სასწრაფოდ გაგზავნა მოსკოვში ქართველ სპეციალისტების.

## დოსტოევსკის ხელნაწერების აღმოჩენა.

ორი წლის წინად დაჟინებით ლაპარაკობდენ, რომ თ. დოსტოევსკის დაუბეჭდავი ხელნაწერები ინახება სოფში ეს ხელნაწერები ჰქონდა მწერლის ქვრივს, რომელიც ამ მასალას გამოსაცემად ამზადებდა ამის შემდეგ ხელნაწერი ჩნდებოდა ხან ბათომში, ხან კონსტანტინოპოლში, ხან ოზურგეთში და სხ. ყოველმა ღონისძიებამ ამაოდ ჩაიარა და ხელნაწერები აღმოუჩენელი დარჩა.

ბოლოს დროს გამოირკვა რომ ხელნაწერები შეუძენია ვ. მგალობლიშვილს რომელმაც მცირე ფასებში დაუთმო ზაკკრაეკომს. ზაკკრაიკომმა ხელნაწერების შესასწავლათ დანიშნა კომისია ექსპერტების რომელშიც მოხვდენ გრიგოლ რობაქიძე, იგნატოვი და ანანოვი ექსპერტების კომისიამ ხანგრძლივი შესწავლის შემდეგ დაადასტურა ხელნაწერების სისწორე და დიდი ლიტერატურული ღირებულობა (როგორც დოსტოევსკის ისე მისი მეუღლის).

ხელნაწერების აღმოჩენას უსათუოდ აქვს რუსეთის ლიტერატურის ისტორიისთვის უდიდესი მნიშვნელობა, რადგან ხელნაწერებში ბევრი სრული და ახალი მასალებია, რომელნიც ნათელს მოფენენ დოსტოევსკის შემოქმედებას და ცხოვრებას.

## თეატრი

**მოხსენება თეატრზე**

ორშაბათს 31 ივლისს, მთავარი სახელოვნო კომიტეტი მართავს მოხსენებას თ ე ა ტ რ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ. მოხსენებას წაიკითხავს კომიტეტის წევრი ალ. წუწუნავა. კამათში მონაწილეობას მიიღებენ: მჭედლიშვილი, შალვა დადიანი, კ. ანდრონიკაშვილი, ტიციან ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე და სხვა. დასაწყისი საღამ. 9 საათზე.

სამშაბათს, აგვისტოს 1 ლს მთავარი სახელოვნო კომიტეტი მართავს მოხსენებას თეატრზე. მოხსენებას ქ ა რ თ უ ლ ი ს ტ უ დ ი ი ს შ ე ქ მ ნ ი ს შესახებ წაიკითხავს სამხატვრო თეატრის მეორე სტუდიის პირველი რეჟისორი ვახტანგ მჭედლიშვილი. დასაწყისი სასაღამოს 9 საათზე. შესვლა უფასოა.

## გამომცემლობა ,,საუნჯე"

გამომცემლობა ,,საუნჯე" ამ დღეებში შეუდგება ბეჭვდას ვასილ ბ ა რ ნ ო ვ ი ს სალიტერატურო სახელმძღვანელოების" „ქ ა რ თ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს ი ს ტ ო რ ი ა" წიგნი პირველი, რომელიც შევსებულია შვიდი ახალი გაკვეთილით. პ ი რ ვ ე ლ წიგნს ზედ მოჰყვება მ ე ო რ ე, მ ე ს ა მ ე და მ ე ო თ ხ ე წიგნიც. წ ი გ ნ ე ბ ი გ ა მ ო ვ ა წ ი ნ ა ს წ ა რ ი ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ი თ და თ ი თ ო წ ი გ ნ ი ე ღ ი რ ე ბ ა 60,000 მ ა ნ. თუ ხელის მოწერას აღემატა, თითო წიგნის გასასყიდად ეღირება 100 000 მან.

წინასწარი ხელმოწერა მიიღება ნ. კ უ რ დ ღ ე ლ ა შ ვ ი ლ თ ა ნ-ს ა მ ხ ე დ რ ო —ს ტ ა მ ბ ა შ ი (ლ ო რ ი ს - მ ე ლ ი ქ ო ვ ი ს ქ უ ჩ ა № 3).

ხელის მოწერა როგორ თითო წიგნზე ისე ოთხივე წიგნზე მიიღება მხოლოდ აგვისტოს გასვლამდე.

## რუსთაველიანა

### სერგო გორგაძის მოხსენება.

**„ორიგინალობის საკითხი რუსთაველის შემოქმედებაში"**

მკათათვის 26-ს, ხელოვნების სასახლეში, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ჩვეულებრივ კრებაზე, ს. გორგაძემ წაიკითხა მოხსენება: ,,ო რ ი გ ი ნ ა ლ ო ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ი რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა შ ი" (წ ი ნ ა წ ა რ ი მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა „ ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს" ა მ ბ ა ვ ი ს წ ა რ მ ო შ ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ) მომხსენებლის მთავარი დებულება ასეთი იყო: რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსანში'' გმირთა და ამბავთა ორი ციკლია: არაბეთისა და ინდოეთის; პირველი ორგინალურია-თვით ავტორის ფანტაზიით შექმნილი, მეორე—ლიტერატურულად აღებული იმ ,,სპარსული ამბავიდან'' რომელიც ავტორს, მისივე, თქმით, უკვე ,,ქართულად ნათარგმანები უპოვნია და ლექსად გარდაუთქვამს''. უკანასკნელი ციკლის ამბავი ჩვეულებრივი სადევგმირო ზღაპრული ამბავი ყოფილა, ხოლო პირველი ციკლის ტიპები და ამბები, თვით ავტორის ფანტაზიით შექნილნი, ავტორის თანამედროვე რეალურ სინამდვილეს ეყრდნობიან, მის ანარეკლს ანუ მხატვრული სახეს წარმოადგენენ: თინათინ—თამარის სახის ანარეკლია, ხოლო ავთანდილ იმავე დროის ყარიბი რაინდი მგოსანია (შესაძლოა, თვითონ ავტორიც იყოს); ერთი სიტყვით, სრული ჭეშმარიტებაა რუსთაველის განცხადებაში დაცული, რომელიც ამბობს:

ა) ერთი მხრით:
,,თამარს ვაქებდეთ მეფესა
სისხლისა ცრემლდათხეული'' და
,,მისი სახელი შეფარვით
ქვემორე მითქვამს, მიქია—ო;
ბ) ხოლო მეორე მხრით:
,,ესე ამბავი სპარსული
ქართულად ნათარგმანები...
ვპოვე და ლექსად გარდავთქი-ო და
,,აქამდის ამბად ნათქვამი
აწ მარგალიტი წყობილი-''ო.

ეს დებულება მომხსენებელს დამყარებული ჰქონდა, ერთი მხრით, უკვე ცნობილსა და მეცნიერულად დადგენილ დებულებებზე: 1) პოემის დაწერის დროისა (ინგოროყვა, ჯავახიშვილი) 2) კლასიკური პერიოდის ქართული საერო მწერლობის ხასიათისა (ნ. მარრი და ი. აბულაძე), 3) კულტურულ-საზოგადოებრივი წრისა (ნ. მარრი), 4) ავტორის ვინაობისა (პ. ინგოროყვა), 5) პოემის ტექსტის საერთო შემადგენლობისა (თვით მომხსენებლის საკუთარი დაკვირვება, პ. ინგორყვა და ი. აბულაძე, 6) პოემის ტექსტის შინაგანი მდგომარეობისა (ნ. მარრი, აბულაძე, ინგოროყვა და თვით მომხსენებლის დაკვირვებანი), 7) პოემის მთავარი საგნის (ნასკვის) და გეგმისა (თვით მომხსენებლის საკუთარი ანალიზით) და 8) პოემის მთავარ ნაწილთა შორის არსებული კავშირის (მისივე ანალიზი) შესახებ და 9) ავტორის (რუსთველის) საკუთარს მოწმობაზე (ხან. 4 და 26, 16 და 7) აგრეთვე 10) მომხსენებლის მიერ შესრულებულ ანალიზზე პოემაში გამოყვანილი ტიპებისა და მთავარი მოტივებისა (მიჯნურობა, ვაჟკაცობა და მეგობრობა ან ,,ძმად-ფიცულობა'').

ალაგ-ალაგ თავისა აზრის ნათელსაყოფელად მომხსენებელი მიჰმართავდა ანალოგიებს (შედარებებს) კახეთის ხუროთმოძღვრების) ისტორიიდან (პროფ. გ. ჩუბინაშვილის უკანასკნელ მოხსენათა მიხედვით, იხ. საისტორ. საზოგადოების კრებების ოქმი № 158), და ამ გზით იგი შეეცადა ნათელი მოეფინა რუსთაველის შემოქმედების პროცესის ზოგიერთი ხაზებისათვის. ამავე მიზნით ავტორმა ისარგებლა თვით პოემის გმირთა, საზიათთა, სოციალურ ჯგუფთა, მოტივთა, მდგომარეობათა და მოქმედებათა შორის შემჩნეულის პარალელიზმით.

ამასთან ერთად მომხსენებელმა (შესავალ სიტყვაში და ბოლო სიტყვაობაში) მოკლედ დაახასიათა აღებული საკითხის მკვლევართა შორის არსებული უთანხმოება, მათი ორ, დიამეტრალურად მოწინააღმდეგე, ბანაკად დაყოფა (ერთნი ამტკიცებენ: პოემის მ თ ე ლ ი ა მ ბ ა ვ ი ორიგანალურიაო, მეორენი: მ თ ე ლ ი ა მ ბ ა ვ ი ნასესხებიაო), აგრეთვე მათი საერთო ნაკლი (მეთოდოლოგიურის ხასიათისა და დასასრულ აღნიშნა, თუ რა ადგილი უჭირავს თვით მომხსენებლის საკუთარს შეხედულებას (რუსთველის შემოქმედების ორიგინალობაზე) ამ ორ ბანაკს შორის. მოხსენება ძალიან გაგრძელდა და კამათი ვერ მოესწრო. სასურველია კამათისათვის ცალკე დღის დანიშვნა.

რედაქტორი: **გიორგი ლეონიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა


## სატყეო განყოფილება

### ს. ს. მ. უ. ს.

გაიხსნა 10 ივლისიდან გაიხსნა

## დიდი ავეჯეულობის მაღაზია

(სომხის ბაზარი, ყოფ. ქარვასლა მანთაშევისა, ს.ს.მ.უ.ს. სახალხო მომარაგების საბჭოს გვერდით).

**დიდი არჩევანი სხვა და სხვა ნაირი ავეჯის;**

როგორც: ბუფეტები, კამოდები, მაგიდები--სადილის, საწერი, ტახტები, ტაბურეტები, საბავშო საწოლები, სკამები, ჩიკები, კაკლის საწოლები, სავარძლები, სასკოლო პარტები, პარკეტი, კათხები, ვარცლები, ტაბაკები.

### ვენური ავეჯეული:

საწოლები, მაგიდები, სკამები, ფარდები, ავტომობილის ჩიკები, დიდი არჩევანი ჯოხების, რიკნების, არგნების.

აგრეთვე მიიღება ყოველნაირი შეკვეთანი: ავეჯეულობაზე და სხვა სადურგლო მასალებზე: ჩარჩოები, კარები, ფიცრები, დაზგების, თაროების, დაფიცრული ხარიხები და სხვა.

აგრეთვე გაიყიდება მზად საუთო მასალები, მუხისა და წიფელის და სხვა ხარისხის ფონერი.

**ფასები გარეშე კონკურენციისა.**



## სამკერვალო განყოფილება

### ს. ს. მ. უ. ს.

ამით იუწყება, რომ *მიიღება ყოველნაირი შესაკერავი შეკვეთანი:*

**კაცის ტანისამოსის, ქალის და ბავშვის ტანისამოსის და საცვლების, სამხედრო ტანისამოსის და საცვლების, სამხედრო თავსახურავების.**

შეკვეთანი სრულდება სწრაფად, პირნათლად და ფრიად დაკლებულ ფასებში.

სახელოსნოებში მუშაობენ ყოფილ ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების და აგრეთვე შერემეტიევის საუკეთესო ხელოსნები.

**შესაკვეთად მიმართეთ:**

დიდი შეკვეთით სამკერვალო განყოფილებაში

**განოვის ქუჩა № 3.**

კაცის ტანისამოსის, ქალის და ბავშვების ტანისამოსის და საცვლების შესაკერავად შესაკვეთ განყოფილებაში განოვის ქუჩაზევე № 3. და კაცის ტანისამოსის შესაკერად შესაკვეთ განყოფილებაში რუსთაველის პროსპექტი ყოფილ საარტისტო საზოგადოების გამგე

**ამხ. უუფარაძეს.**


## დამატებითი საგარაკო მატარებლები

22 ივლისიდან **თბილისის, ბორჯომის და ბაკურიანის** შორის დანიშნულია სწრაფი სააგარაკო მატარებლები № 18 და 17, **კვირაში ერთხელ.**

თბილისიდან გადის შაბათობით დღის 11 საათ. 45 წუთზე, **გორიდან**—2 საათ. 20 წუთზე, **ხაშურიდან**—3 საათზე და 55 წუთზე, **ბორჯომში** მიდის 5 საათ. 30 წუთზე დღის.

**ბორჯომიდან ბაკურიანში** გადის წვრილი ლიანდაგიანი გზით 5 საათზე და 50 წუთზე, **ბაკურიანში** მიდის საღამოს 9 საათზე და 18 წუთ. შაბათობით.

### უკან ბრუნდება

**ბაკურიანიდან**—კვირაობით საღამოს 4 საათზე და 40 წუთზე **ბორჯომში** მიდის 7 საათზე და 45 წუთ. **ბორჯომის პარკში**—საღამოს 8 საათზე.

**ბორჯომიდან თბილისში** გამოდის საღამოს 9 საათზე და 50 წუთზე, **ხაშურიდან**—ღამის 12 საათზე და 35 წუთზე, **გორიდან**—2 საათზე და 41 წუთზე, **თბილისში** მოდის დილის 6 საათზე და 02 წუთზე.

ეს მატარებელი პატარა პლატფორმაზე არ შეჩერდება.

---

1922 წელს, 7 აგვისტოს, დღის 12 საათზე **მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის საძოვართა და საიჯარო-ნაკვეთების** განყოფილებაში (სასამართლოს ქუჩა № 32) დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა თევზის დაჭერის** უფლებაზე **პოლეოსტომის ტბაში** (სენაკის მაზრაში) **და იმ მდინარეებში რომელიც ჩადის და გამოდის ამ ტბიდან, ვადით 1922 წლის 14 აგვისტოდან 1923 წლის 14 ივნისამდე:** ქვირითის დაყრის დროს, ესე იგი 14 ივნისიდან 14 აგვისტომდის, როცა თევზის დაჭერა სახელმწიფოს აყენებს დიდ ზარალს, აკრძალულ ხანათ ითვლება. საჯარო ვაჭრობა დაიწყება 730 მილიონ მანეთიდან, ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს საძოვართა და საიჯარო ნაკვეთების განყოფილებაში **შემოაქვს განცხადება და არდგენს 185.000.000 მან. ბეს.**

ვინც საჯარო ვაჭრობაში მისცემს უმაღლეს ფასს და საჯარო ვაჭრობა დამტკიცებულ იქნება მიწადმოქმედების კომისარიატის მიერ მასთან იკვრება წერილობითი ხელშეკრულება, საიჯარო გადასახადი-კი უნდა იქნეს შემოტანილი ორ ნაწილათ: პირველი ნახევარი 1922 წლის 1-ლ ოქტომბრამდის, მეორე ნახევარი 1923 წლის 1-ლ აპრილამდის.

საჯარო ვაჭრობის დღეს ვიზედაც დარჩება თევზის დაჭერის უფლება ვალდებულია შეავსოს ბე არა ნაკლებ იმ ფასის მეოთხედი ნაწილისა, რა ფასში დარჩა მას თევზის დაჭერის უფლება საჯარო ვაჭრობაში. შევსებული ბე რჩება ხაზინაში მიწათმოქმედების კომისარიატის დეპოზიტში საიჯარო ვადის გათავებამდის.

დანარჩენ პირებს, ვიზედაც საჯარო ვაჭრობით თევზის დაჭერის უფლება არ დარჩება მათ ბე უბრუნდებათ იმ დღესვე.

---

## პირდაპირი მატარებელი

## პეტროგრადი--ბათომი

16 ივლისიდან ყოველკვირა **პეტროგრადიდან ბათომამდე** ივლის პირდაპირი მატარებლები **№ 6-პ. 3** ვაგ. ნიკოლაევის გზის შემადგ. მათგან 1 **საბარგო**, 1 რბილი, 1 მესამე კლასი პეტროგრად-ბაქო და 1 მესამე კლასი პეტროგრად-როსტოვი. აქედან პეტროგრად-ბათომის უბრალო სამი ვაგონიდან ერთი ვაგონი ეძლევა მგზავრებისათვის მხოლოდ პეტროგრად-ხარკოვს შუა და ცალკე ხარკოვ-ბათომით და ეს ვაგონი ივლის ხარკოვში მოუხსნელად და ექნება ტრაფარეტი პეტროგრად-ხარკოვ-ბათომი და ამავე მიმართულების სამი ვაგონიდან ერთი ეძლევათ მგზავრებს მხოლოდ **პეტროგრადიდან როსტოვამდე,** ცალკე **როსტოვს და ბათომს** შუა როსტოვში მოუხსნელად, სადაც ექნებათ ცვალებადი ტრაფარეტი **პეტროგრადი-როსტოვი** და **როსტოვი-ბათომი** და სხვა ვაგონების რიცხვიდან კი ნახევარი ადგილები მიეცემათ მოსკოვში, მოსკოვიდან მიმავალ მგზავრებს. ეს მატარებლები პეტროგრადიდან დაიძვრიან კვირაობით, მოსკოვიდან—ორშაბათობით, **პეტროვსკში მოვლენ** და აქედან გამოვლენ ხუთშაბათობით, **ბაქოში მოვლენ** და დაიძვრიან (არსებულ წესის თანახმად) პარასკეობათ, **თბილისში მოვლენ** დღისით 11 საათ. და 45 წ. და აქედან გავლიან (დღის 2 საათზე) შაბათობით და **ბათომში ჩავლენ კვირაობით** დილის 9 საათ. და 40 წ.

**მატარ. № 5-პ. ბათომიდან დაბრუნდება** ოთხშაბათობით 7 საათ. 25 წ. საღამ. **ტფილისში მოვა** (1 საათ. და 30 წ. დღისით) და აქედან გავა 2 საათ. 45 წ. ხუთშაბათობით, ბაქოში ჩავა დღის 3 საათზე და გავა (დღის 5 საათ.). პარასკეობით, მოსკოვიდან—სამშაბათობით და ჩავა **პეტროგრადში ოთხშაბათობით.**

პირველი მატარებელი გამოვა პეტროგრადიდან 16-ს, თბილისში გაივლის 22-ს, ბათომში მივა 23-ს, ბათომიდან გამოვა 26 ივლისს და პეტროგრადში ჩავა 2 აგვისტოს. არსებული მოსკოვის მატარებლები №№ 5 და 6 რჩებიან მოძრაობაში იმავე დღეებში პლაცკარტის ფასი მოსკოვის და პეტროგრადის მატარებლებზე რჩება იგივე, ე. ი. 1-ლ 3 კლ. ვაგონებში 300.000, რბილი 6000.000. მე-2 600 ვერსტამდე--3 კლ. ვაგონებში 520.000, რბილ 9000.000 მე-3 900 ვერსტამდე და მეტზე 3 კლ.—640.000 მ. და რბილი 1.200.000.

---

ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობის

## სახალხო კომისარიატი

იღებს რა მონაწილეობას ნიჟნი-ნოვგოროდის იარმუკაზე (1 აგვისტოდან—15 სექტემბრამდე), აცნობებს ყველა დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და კერძო კომერსანტებს, რომელთაც სურს მონაწილეობა მიიღონ იარმუკაზე თავისი საქონლით, რომ იგი კისრულობს ამ საქონლის გადაგზავნას შეღავათიანს, საკომისიო პირობებში თავისი მარშრუტებით.

ცნობებისათვის მსურველთ უნდა მიმართონ ყოველ დღე (უქმეებს გარდა) დღის 12—3 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე ზაკვნეშტორგის ნიჟეგოროდის იარმუკაზე მონაწილეობისათვის არსებულ დროებით ბიუროში (ბარიატინსკის ქ. № 6, ზაკვნეშტორგის სავაჭრო განყოფილების ბინა) ბიუროს თავმჯდომარეს ტ. ს. მელიქოვს ან მის მოადგილეს ნ. ლ. კოვალევსკის. ქალაქ გარეშე სთხოვენ მიჰმართონ ზაკვნეშტორგის სათანადო განყოფილებას ადგილობრივ.

**ა. კ. ს. ს. რ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატი.**

ნება დართ. სამხ. ცენზ. 3000.

სამხედრო სხზღვაო კომისარიატის სტამბა